ტელედებატები სსმ-ს გენერალური დირექტორობის კანდიდატებს შორის

დღეს, 24 დეკემბერს, 22 საათზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გაიმართება დებატები საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის ხუთივე კანდიდატს შორის. დებატები წარიმართება შემდეგი წესით:

დასაწყისში თითოეულ კანდიდატს ეძლევა სამ-სამი წუთი საპრეზენტაციოდ;

დებატების მსვლელობისას წამყვანი თითოეულ კანდიდატს ყოველ ჯერზე მიმართავს საერთო შეკითხვით. კანდიდატებს საპასუხოდ ეძლევათ ორ-ორი წუთი; სულ მათ დაუსვამენ ოთხ საერთო შეკითხვას. ყოველ დასმულ შეკითხვაზე მოპასუხეთა რიგითობა იცვლება თანმიმდევრობით.

დებატების მიწურულს თითოეული კანდიდატი ისარგებლებს თითო წუთით დასკვნითი/შემაჯამებელი/ან სხვა რიგის განცხადებისათვის.

საკითხებს, რომელთაც შეეხება წამყვანის შეკითხვები, კანდიდატებს წინასწარ, დებატებამდე რამდენიმე საათით ადრე შეატყობინებენ.

დებატებს უძღვება ჟურნალისტი დავით პაიჭაძე.